ნარკოვითარება საქართველოში წლიური ანგარიში 2016

ნათია სტეფანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ადიქციის კვლევების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი, MD, PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

“როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნათია სტეფანიშვილი

22.06.2018

აბსტრაქტი

მიზანი: ნებისმიერი ქვეყანა ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული პრობლემების უარყოფითი შედეგების შემცირების მიზნით ახორციელებს გარკვეულ პოლიტიკასა და სტრატეგიებს. გადაწყვეტილებების მიმღებებს ესაჭიროებათ სანდო და ვალიდური ინფორმაცია სწორი სამოქმედო გეგმის და საპასუხო ზომების გატარების მიზნით. ნარკოვითარების წლიური ანგარიშების წარმოება ხორციელდება ხუთი ძირითადი საკვანძო ეპიდემიოლოგიური ინდიკატორის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების ცენტრის და აღიარებულია ევროკავშირის ქვეყნების მიერ. კვლევის მიზანია ევროპის ქვეყნებთან საქართველოში არსებული ნარკოვითარების მდგომარეობის შედარება, ეროვნული ნარკოსიტუაციის შესწავლა და 2016 წლის შედეგების გაცნობა ნარკოტიკების პრობლემურ მომხმარებლებს შორის, ზიანის შემცირების პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის და ნარკოტიკების ინექციური მოხმარების მაჩვენებლების წარმოჩენა ზოგად პოპულაციასა და სკოლის მოსწავლეებში.

მეთოდი: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი ლიტერატურის დამუშავება და ანალიზი, ადიქციის სფეროში არსებული კვლევების საფუძველზე მოხდა კვლევების მიმოხილვა და დასკვნების გამოტანა. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელიდან მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა ზიანის შემცირების პროგრამების შესახებ. გამოყენებული იქნა სამი საკვანძო ეპიდემიოლოგიური ინდიკატორი, ეს ინდიკატორებია: ზოგადი მოსახლეობის გამოკითხვა (მოხმარება ზოგად პოპულაციაში), მოთხოვნა მკურნალობაზე და მაღალი რისკის მოხმარება. კვლევის ფარგლებში მოხდა თითოეული მათგანის განხილვა და ანალიზი.

შედეგები: კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, 2010 წლის მონაცემებით ნარკოტიკების მომხმარებელთა სავარაუდო რაოდენობა 40,000 აღწევდა, ხოლო მომდევნო წლებში კი ეს რიცხვი გაიზარდა. 2016 წლის მონაცემებით, კი ნარკოტიკების

მომხმარებელთა მაჩვენებელი უკვე 52,000 ადამიანია, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 2,24 % -ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა მკურნალობა მხოლოდ ეპიზოდურად ხორციელდება, ეს არის ჩანაცვლებითი თერაპია და სტაციონარული მკურნალობა, რაც ბუნებრივია არ არის საკმარისი სრულყოფილი რეაბილიტაციისთვის. საქართველოში ზიანის შემცირების პროგრამებიც ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებენ სერვისების მიწოდებას. ქვეყანაში ასევე არ ხდება ნარკოტიკების ზედოზირებით გამოწვეული გარდაცვალების რეალური სურათის წარმოჩენა, მაგალითად,2015 წლის მონაცემებით ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზედოზირებით გარდაცვლილთა მაჩვენებელი იყო მხოლოდ 5, რაც გარკვეულ ეჭვს იწვევს ინფორმაციის სანდოობის მხრივ.

დასკვნა: აუცილებელია ქვეყანაში დაინერგოს სრულყოფილი კვლევების პრაქტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მონაცემების სანდოობას. მნიშვნელოვანია საქართველოში არსებობდეს ნარკოტიკების მონიტორინგის ცენტრი, რომელიც იქნებოდა ევროპის ნარკოტიკების მონიტორინგის ცენტრის ანალოგი. რომლის მთავარი ფუნქცია იქნებოდა ნარკოტიკების მომხმარებლების შესახებ მონაცემების მოპოვენა ხუთი ძირითადი ეპიდემიოლოგიური ინდიკატორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია საქართველომ მუდმივ სამუშაო რეჟიმში მიაწოდოს მონაცემები ევროპის ნარკოტიკების მონიტორინგის ცენტრს, რომელიც შემდეგ გამოქვეყნებული იქნება ევროპის ნარკოტიკების მონიტორინგის ცენტრის ოფიციალურ საიტზე და მოხდებოდა საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის შედარებითი ანალიზის გაკეთება.

საკვანძო სიტყვები: ინდიკატორი, ნარკოვითარება, ნარკოპოლიტიკა, საჭიროებები, ზიანის შემცირების პროგრამები.

Abstract

Goal: Any country conducts certain politics and strategies to decrease negative outcomes of drug addiction. Decision makers need reliable and valid information for the development and implementation of appropriate action plan and measures in order to decrease drug addiction in

the country. The annual reporting on narco-state in Georgia is conducted according to five main epidemiologic indicators developed by European Monitoring Center for Drugs and Drug Addiction and acknowledged by the countries of European Union. The goal of our study was to compare the narco-state in Georgia to other European countries, to study narco-situation in the country and disseminate the findings of 2016 among PWID, deliver information about harm reduction programs to the society and to demonstrate drug addiction data in general population and schoolchildren.

Methods: Literature review and analysis was conducted and relevant conclusions were drawn. Information about Harm Reduction Program was extracted from Georgian Harm reduction Network. We conducted general population survey to assess three main epidemiologic indicators: prevalence of IDU, treatment needs and high-risk habits. Each indicator was reviewed and analyzed.

Results: The study revealed that in Georgia the prevalence of IDU increases annually. For example, in 2010 the estimated number of PWID was 40 000 and this number increased in subsequent years. In 2016 the estimated number of PWID reached 52 000 which constitutes 2.24% of Georgia's total population. It should be noted that the treatment of PWID is of episodic nature in the country including replacement therapy and inpatient treatment that is not sufficient for complete rehabilitation. In Georgia harm reduction programs only partially delivers services to PWID. The country doesn't have the reliable statistics about the number of deaths resulting from drug overdose. For example, according to Levan Samkharauli National Forensics Bureau in 2015 only 5 individuals died from drug overdose in the country, that certainly rises suspicion about this information.

Conclusions: It is essential to implement full-value research practices in the country which will improve the reliability of data. It is important if monitoring center for drug addiction is established in Georgia which will be the analogue for European Monitoring Center for Drugs and Drug Addiction. The main function of this center will be to collect data about PWID on five main epidemiologic indicators. Georgia must permanently deliver data to European Monitoring Center that will be published and further analyzed and compared to different European countries.

Keywords: indicator, narco-state, narco-politics, needs, harm reduction programs.

მადლობა

კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის, აივ/შიდსის პრევენციის პროგრამების დირექტორს ქ-ონ მაკა გოგიას.

ნაშრომის მომზადების პერიოდში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუხდი „ალტერნატივა ჯორჯიას“ და ჩემი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს ბ-ონ დავით ოთიაშვილს, გაწეული კონსულტაციებისთვის და რეკომენდაციებისთვის, რამაც გამიადვილა სამაგისტრო თემაზე მუშაობა.